2615283093819
www.info.court.ge

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით
სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ

28 ივნისი, 2016 წელი

თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია

მოსამართლე თამარ ოქროპირიძე

მოსარჩელე - ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივა";
წარმომადგენელი - ნინო გუჯარაიძე;

მოპასუხე - საქართველოს მთავრობა;
მოპასუხე - სს "სახელმწიფო ელექტროსისტემა";
მოპასუხე - სს "ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი";
მოპასუხე - სს "ონი კასკადი";

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

2015 წლის 20 აგვისტოს ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივამ" სარჩელით მომართა თბილისის საქალაქო სასამართლოს, საქართველოს მთავრობის, სს "სახელმწიფო ელექტროსისტემის", სს "ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორს" და სს "ონი კასკადი"-ს მიმართ და მოითხოვა საქართველოს მთავრობას, სს "სახელმწიფო ელექტროსისტემას, სს "ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა" და სს "ონი კასკადს" შორის 2015 წლის 16 ივლისს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 25 აგვისტოს განჩინებით მოსარჩელე მხარეს დაუდგინდა ხარვეზი კერძოდ, დაევალა გასაჩივრებული და საქმეში წარმოდგენილი საქართველოს მთავრობას, სს "სახელმწიფო ელექტროსისტემას, სს "ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა" და სს "ონი კასკადს" შორის 2015 წლის 16 ივლისს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის წარმოადგენა ნათარგმნის სახით სახელმწიფო ენაზე და დამოწმებული სათანადო წესით. 2015 წლის 25 აგვისტოს

განჩინება მოსარჩელე მხარეს ჩაბარდა 2015 წლის 1 სექტემბერს.

2015 წლის 10 სექტემბერს მოსარჩელე ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივა"-ს წარმომადგენელმა განცხადებით მომართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოითხოვა სარჩელის წარმოებაში მიღება და განმარტა, რომ სარჩელის წარმოდგენის მიზეზი გახდა სწორედ ის გარემოება, რომ ქართულ ენაზე სადავო ხელშეკრულება საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროში არ მოიპოვება;

ამავე კოლეგიის 2015 წლის 15 სექტემბრის განჩინებით მოსარჩელეს განჩინების სამოტივაციო ნაწილში აღწერილი ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო ვადა გაუგრძელდა 7 დღის ვადით და განემარტა, რომ მოსარჩელე ვალდებული იყო დაეკმაყოფილებინა სარჩელის სასამართლოში წარმოდგენის ფორმალური კრიტერიუმები და წარმოედგინა გასაჩივრებული საქართველოს მთავრობას, სს "სახელმწიფო ელექტროსისტემას, სს "ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა" და სს "ონი კასკადს" შორის 2015 წლის 16 ივლისს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმი, ნათარგმნი სახელმწიფო ენაზე და დამოწმებული სათანადო წესით.

2015 წლის 15 სექტემბრის განჩინება, ხარვეზის შევსების ვადის გაგრძელების შესახებ 2015 წლის 21 სექტემბერს ჩაბარდა ორგანიზაციის წარმომადგენელს ნათია ქსოვრელს ფოსტის საშუალებით. განჩინების ჩაბარებიდან სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში მოსარჩელე მხარეს ხარვეზი არ შეუვსია და არც ხარვეზის შევსების ვადის გაგრძელების შუამდგომლობით მოუმართავს. ამდენად ამავე კოლეგიის 2015 წლის 13 ოქტომბრის განჩინებით ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივა"-ს უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე. აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გასაჩივრდა მოსარჩელე მხარის მიერ და საქმის მასალებთან ერთად გადაიგზავნა ზემდგომ - თბილისის სააპელაციო სასამართლოში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 12 იანვრის №3/ბ-1733-15 განჩინებით, ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივა"-ს კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 13 ოქტომბრის განჩინება და საქმე ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივა"-ს სარჩელის წარმოებაში მიღების საკითხის გადასაწყვეტად დაუბრუნდა სასამართლოს.

პალატამ ყურადღება გაამახვილა სარჩელზე თანდართულ მასალებზე, რომლითაც ა(ა)იპ ,,მწვანე ალტერნატივამ" მიმართა საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს და მოითხოვა გადაეცათ 2015 წლის 16 ივლისს კომპანია ,,ფერისთან" გაფორმებული ,,ონის ჰესების კასკადის" მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ" მემორანდუმის ქართული ვერსია. ასევე აღნიშნა, რომ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს 2015 წლის 12 აგვისტოს წერილით, ა(ა)იპ ,,მწვანე ალტერნატივას" 2015

წლის 07 აგვისტოს N04/06-165 წერილის პასუხად ეცნობა, რომ მათ მიერ მოთხოვნილი მემორანდუმი გაფორმებულია მხოლოდ ინგლისურ ენაზე, შესაბამისად, მისი ქართული ვერსია (თარგმანი) საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროში არ მოიპოვება.

სააპელაციო პალატამ ასევე ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელეს წარდგენილი არ ჰქონდა სარჩელი ქმედების განხორციელების დავალდებულების მოთხოვნით (სასკ-ის 24-ე მუხ.) სააპელაციო სასამართლომ საჭიროდ ჩათვალა დავის საგნის დაზუსტებას. ასევე ხაზი გაუსვა იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელე ხელშეკრულების ბათილად ცნობას მოითხოვდა სწორედ იმ საფუძვლით რომ იგი დადებული იყო მხოლოდ ინგლისურ ენაზე და აღნიშნული წარმოადგენდა სასარჩელო მოთხოვნის წარდგენის ერთადერთ საფუძველს.

პალატის მოსაზრებით, პირველი ინსპანტიის სასამართლოს უნდა ემსჯელა სასკ-ის 28[1] მუხლის საფუძველზე მოთხოვნის ტრანსფორმირებაზე და განმარტა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28[1] მუხლის თანახმად, სასამართლო არ არის უფლებამოსილი გასცდეს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს, მაგრამ იგი არ არის შეზღუდული სასარჩელო მოთხოვნის ფორმულირებით და მიუთითა, რომ სარჩელის სახის შეუსაბამობის პირობებში მოსამართლეს ენიჭება პროცესუალური უფლებამოსილება ოფიციალობის პრინციპიდან გამომდინარე, მიუთითოს მოსარჩელეს სასარჩელო მოთხოვნის ანუ სარჩელის ერთი სახის სხვა სახის სარჩელად გარდაქმნისაკენ.

სააპელაციო სასამართლომ ასევე აღნიშნა რომ განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელეს სარჩელი აღძრული ჰქონდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე და 23-ე მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით და არა ქმედების განხორციელების დავალების მოთხოვნით, ასკ-ის 24-ე მუხლის შესაბამისად, თუმცა მიუთითა, რომ მოსარჩელის ფაქტობრივი მოთხოვნა იყო მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ უზრუნველყოს 2015 წლის 16 ივლისს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის წარმოდგენა ნათარგმნის სახით, სახელმწიფო ენაზე და დამოწმებული სათანადო წესით. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს უნდა გამოყენებინა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28[1] მუხლით მინიჭებული უფლებამოსილება და დახმარებოდა მხარეს სარჩელის ტრანსფორმირებაში, რათა კვალიფიციურად იქნას ჩამოყალიბებული სასარჩელო მოთხოვნა, რის შედეგადაც მიღწეულ იქნება პროცესის ეკონომიურობის მიზანი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 12 იანვრის N3/ბ-1733-15 განჩინებით, ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივა"-ს კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის

2015 წლის 13 ოქტომბრის განჩინება და საქმე ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივა"-ს სარჩელის წარმოებაში მიღების საკითხის გადასაწყვეტად დაუბრუნდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

აღნიშნული საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ კოლეგიაში დაბრუნდა 2016 წლის 16 მაისს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 20 მაისის №3/3646-16 განჩინებით, მოსარჩელე ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივა"-ს ხარვეზის შესავსებად განესაზღვრა 7 (შვიდი) დღის ვადა და განემარტა, რომ დასაზუსტებული იყო სასარჩელო მოთხოვნა. კერძოდ განემარტა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მეორე მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა.

ასევე განემარტა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის თანახმად, სარჩელი შეიძლება აღიძრას ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნით, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.

ამდენად თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 12 იანვრის №3/ბ-1733-15 განჩინების გათვალისწინებით, მოსარჩელე მხარეს დაევალა დაეზუსტებინა მის მიერ დაყენებული სასარჩელო მოთხოვნა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის საფუძველზე.

აღნიშნული განჩინება მოსარჩელე ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივა"-ს ორგანიზაციის წარმომადგენელს ნათია ქსოვრელს ჩაბარდა 2016 წლის 27 მაისს ფოსტის საშუალებით.

2016 წლის 2 ივნისს მოსარჩელე ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივა"-ს აღმასრულებელმა დირექტორმა ნინო გუჯარაიძემ ხარვეზის შევსების მიზნით განცხადებით მომართა სასამართლოს და მიუთითა, რომ დადგენილი ხარვეზის შევსების მიზნით სასამართლოს მიერ განსაზღვრული 7 დღიანი საპროცესო ვადის დაცვით წარმოადგენს დამატებით სასარჩელო მოთხოვნას და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის საფუძველზე მოითხოვეს დაევალოს მოპასუხე - საქართველოს მთავრობას და სს "ონის კასკადს" შორის 2015 წლის 16 ივლისს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის "ონის ჰესების

კასკადის" მშენებელობის, ფლობისა და ოპრიორების შესახებ წარმოდგენა ნათარგმნი სახით, სახელმწიფო ენაზე და დამოწმებული სათანადო წესით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 7 ივნისის განჩინებით მოსარჩელე მხარეს ხარვეზის შევსების მიზნით გაუგრძელდა ხარვეზის შევსების საპროცესო ვადა და განემარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ზ" ქვეპუნქტის თანახმად კვლავ დასაზუსტებელი იყო სასარჩელო მოთხოვნა და მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები.

კერძოდ, განემარტა, რომ მოსარჩელე მხარის მიერ 2016 წლის 2 ივნისს წარმოდგენილი ხარვეზის შევსების განცხადებით დაზუსტებით ვერ ირკვეოდა მოსარჩელე მხარე ითხოვდა საქართველოს მთავრობას, სს "სახელმწიფო ელექტროსისტემას, სს "ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა" და სს "ონი კასკადს" შორის 2015 წლის 16 ივლისს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის ბათილად ცნობას თუ მხოლოდ ითხოვდა - დაევალოს მოპასუხე - საქართველოს მთავრობას და სს "ონის კასკადს" შორის 2015 წლის 16 ივლისს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის "ონის ჰესების კასკადის" მშენებელობის, ფლობისა და ოპრიორების შესახებ წარმოდგენა ნათარგმნი სახით, სახელმწიფო ენაზე და დამოწმებული სათანადო წესით.

ასევე განემარტა, რომ იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლით გათვალისიწნებული მოთხოვნის გარდა მოთხოვნად ტოვებდა საქართველოს მთავრობას, სს "სახელმწიფო ელექტროსისტემას, სს "ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა" და სს "ონი კასკადს" შორის 2015 წლის 16 ივლისს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის ბათილად ცნობას, ასეთ შემთხვევაში მოსარჩელე მხარის მიერ წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო გასაჩივრებული - საქართველოს მთავრობას, სს "სახელმწიფო ელექტროსისტემას, სს "ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა" და სს "ონი კასკადს" შორის 2015 წლის 16 ივლისს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის ნათარგმნის სახით სახელმწიფო ენაზე და დამოწმებული სათანადო წესით. ვინაიდან, მოსარჩელე ვალდებულია დაიცვას ყველა ის საპროცესო ნორმა, რაც არეგულირებს სარჩელის სასამართლოში წარდგენის წესს.

2016 წლის 7 ივნისის განჩინება ხარვეზის შევსების საპროცესო ვადის გაგრძელების თაობაზე 2016 წლის 14 ივნისს ჩაბარდა ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივა"-ს ორგანიზაციის წარმომადგენელს - მენეჯერს ირინე სვანიძეს. განჩინების ჩაბარებიდან სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში მოსარჩელე მხარეს ხარვეზი არ შეუვსია.

სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელი არ უნდა იქნეს მიღებული წარმოებაში შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით დადგენილ ვადაში. ამავე კოდექსის მე-60 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების ვადა განისაზღვრება ზუსტი კალენდარული თარიღით, ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადა იწყება იმ კალენდარული თარიღის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი, ხოლო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით, საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლადაც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე და დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე.

საქმის მასალების შეფასების შედეგად, სასამართლო განმარტავს, რომ ხარვეზის შევსების შესახებ მოსარჩელისათვის **საპროცესო ვადის ათვლა დაიწყო 2016 წლის 15 ივნისს** შესაბამისად, საპროცესო მოქმედების შესრულების ვადა **დასრულდა 2016 წლის 21 ივნისს**. აღნიშნულ ვადაში მოსარჩელეს არ წარმოუდგენია განცხადება განჩინებით დადგენილი ხარვეზის აღმოფხვრის ან ხარვეზის შევსების ვადის გაგრძელების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ ა(ა)იპ **"მწვანე ალტერნატივამ"** გაუშვა სასამართლოს მიერ დაწესებული საპროცესო ვადა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 447-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ მოსამართლე გამოარკვევს, რომ სარჩელი შეტანილია ამ კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილში ან/და 178-ე მუხლში (გარდა იმავე მუხლის პირველი ნაწილის „თ" და „ი" ქვეპუნქტებისა და მე-3 ნაწილისა, თუ მოსარჩელეს მითითებული აქვს მტკიცებულებათა წარუდგენლობის საპატიო მიზეზი) მითითებული პირობების დარღვევით ან/და არ არის წარდგენილი სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების იმდენი ასლი, რამდენიც მოპასუხეა, ან/და სარჩელს არ ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან/და წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, სასამართლო გამოიტანს ხარვეზის შესახებ განჩინებას და მოსარჩელეს დაუნიშნავს ვადას მის შესავსებად. თუ მოსარჩელე დანიშნულ ვადაში შეავსებს განჩინებაში მითითებულ

ხარვეზს, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ; წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმისა და მოსარჩელისათვის მისი დაბრუნების შესახებ, რაზედაც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

დასახელებული ნორმების თანახმად, სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელი არ უნდა იქნეს მიღებული სასამართლო წარმოებაში.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე-12, მე-13, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 447-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივა"-ს უარი ეთქვას სარჩელის წარმოებაში მიღებაზე;

2. მოსარჩელე ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივა"-ს უკან დაუბრუნდეს ნინო გუჯარაიძის (პირადი №0105010047) მიერ 2015 წლის 20 აგვისტოს გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 100 (ასი) ლარის ოდენობით; (მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში; სხვა შემოსულობები, (თვითმმართველი ქალაქი თბილისი; მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი - 300773150; მიმღების ბანკი- ქ.თბილისი, ,,სახელმწიფო ხაზინა"; ბანკის/ხაზინის კოდი-TRESGE 22; გადახდის დანიშნულება - სახელმწიფო ბაჟი სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე).

3. განემარტოს მოსარჩელეს, რომ იმ გარემოებების აღმოფხვრის შემთხვევაში, რამაც გამოიწვია სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმა, მას შეუძლია კვლავ მომართოს სასამართლოს საერთო წესების დაცვით;

4. განჩინების ასლი ხუთი დღის ვადაში გადაეგზავნოს მხარეს, ასევე დაუბრუნდეს მის მიერ სასამართლოში შემოტანილი საბუთები;

5. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (მდებარე: ქ. თბილისი, გრ. რობაქიძის №7ა) მხარისათვის განჩინების ასლის ჩაბარებიდან 12 (თორმეტი) დღის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის (მდებარე, ქ. თბილისი აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.№6) მეშვეობით.

მოსამართლე: თამარ ოქროპირიძე